ქალაქ თბილისის
საკრებულო

ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის

საკრებულოს, მთაწმინდის
რაიონის

მაჟორიტარი წევრის,

ჯაბა ჯიშკარიანის 2017 წლის
ანგარიში

მოგახსენებთ, რომ 2014 წლიდან ვარ .თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-5 მოწვევის მაჟორიტარი წევრი, ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ წევრი, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის, გარემოს დაცვისა და სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიების წევრი.

საანგარიშო პერიოდი :2016 წლის ნოემბერი, დეკემბერი და 2017 წლის იანვრიდან ოქტომბრის ჩათვლით

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებში მონაწილეობა :

ქალაქ თბილისის საკრებულოს სხდომა : ჩატარდა 27 სხდომა

ქალაქ თბილისის საკრებულოს სხდომებზე განხილული საკითხებიდან მიღებული იქნა : 93 დადგენილება და 496 განკარგულება

ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ - სხდომა : ჩატარდა 15 სხდომა.

განხილული მნიშვნელოვანი საკითხები :

- **„ბავშვთა სამყაროს“ ხანძრის შედეგად დაზარალებულებისთვის კომპენსაციის გაცემის საკითხი.**
- **თბილისში პარკირების საკითხის მოგვარება და პრობლემური საკითხის აღმოსაფხვრელად სამუშაო ჯგუფის შექმნა.**
- **ტაქსების სფეროს დარეგულირება. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მოწოდებული რეგულაციების სამუშაო ვერსიის განხილვა.**

- დედაქალაქში გარე ვაჭრობისგან წარმოქმნილი პრობლემები და შედეგები . შექმნილი ვითარების ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება.
- დედაქალაქის ბიუჯეტი. ბიუჯეტის პრიორიტეტები და ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების განხილვა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში მონაწილეობა :

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისია

1. **28.04.17 - სხდომის დღის წესრიგი:**

- ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის საქმიანობის ანგარიშის მოსმენა 2017 წლის 1 იანვრიდან 25 აპრილის ჩათვლით.

- კომისიაში შემოსული განცხადებების განხილვა.

  კომისიის წევრებმა დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი მიიღეს ცნობად, ხოლო მეორე საკითხთან დაკავშირებით წარმოადგინეს საკუთარი მოსაზრებები განცხადებებში დასმული პრობლემის გადაჭრის მიმართულებით.

  <u>აქვე აღსანიშნავია, რომ ზ/ა განცხადებებთან დაკავშირებით, დაიგეგმა და 22 მაისს შედგა 2 სამუშაო შეხვედრა, ერთ-ერთი შეხვედრის საფუძველზე, მიღწეული იქნა შეთანხმება, ისანში, ბერი გაბრიელ სალოსის №161-ში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არასრულწლოვანისათვის ადაპტირებული გარემოს შექმნისათვის შესაბამისი პროცედურების დაწყების შესახებ (გამგეობამ დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები სპეციალური ლიფტის მოწყობის მიზნით).</u>

2. **23.05.17 - სხდომის დღის წესრიგი:**

   - ააიპ „სამართლებრივი დახმარებისა და საზოგადოებრივი ჩართულობის მუნიციპალური ცენტრის“ ანგარიშის მოსმენა.

     ცნობად იქნა მიღებული ცენტრის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია.

3. **12.06.17 - სხდომის დღის წესრიგი:**

- თბილისის მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე მიმდინარე სამუშაოების შესახებ ანგარიშის მოსმენა: I. ინფორმაცია შპს „დაგი"-ს მიერ განხორციელებული სამუშაოების შესახებ; II. ინფორმაცია შპს „ტრიჯიტი"-ს მიერ ჩატარებული მონიტორინგის შესახებ.

  ეთხოვათ შპს „თბილსერვის ჯგუფსა" და კომპანიას „დაგი" ახალი გეგმა გრაფიკის წარმოდგენა (თბილსერვის ჯგუფმა შეცვლილი გრაფიკი კომისიას წარმოუდგინა 26 ივნისს).

4. 06.07.17 - სხდომის დღის წესრიგი:

   - თბილისის ტერიტორიაზე მდებარე, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების აღრიცხვა/სისტემატიზაციასთან და შემდგომ კანონიერ სარგებლობაში ფაქტობრივ მფლობელთათვის გადაცემასთან დაკავშირებით, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში მიმდინარე სამუშაოების შესახებ ინფორმაციის მოსმენა

5. 13.07.17 - სხდომის დღის წესრიგი:

- თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის ანგარიშის მოსმენა, უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფარი ფართით უზრუნველყოფის მიმართულებით განხორციელებული საქმიანობის შესახებ

6. 20.07.17 - სხდომის დღის წესრიგი:

- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში თბილისის მასშტაბით პირველადი ჯანდაცვის მომსახურეობის ობიექტების ამოქმედების მიმართულებით მიმდინარე სამუშაოების შესახებ ინფორმაციის მოსმენა

7. 25.07.17 - სხდომის დღის წესრიგი:

- ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის #30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" (21.07.2017; 04/8353)

8. 17.08.17 - სხდომის დღის წესრიგი:

- შპს „კა დე ვე ჯორჯიას" ანგარიში ნარჩენების გადამამუშავებელ ქარხანასთან დაკავშირებით განხორციელებული და მიმდინარე საქმიანობის შესახებ;

- თბილისის მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხნის პროექტის პრეზენტაცია.

9. 28.09.17 - სხდომის დღის წესრიგი:

   - თბილისის ტერიტორიაზე მდებარე, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების აღრიცხვა/სისტემატიზაციასთან და შემდგომ კანონიერ სარგებლობაში ფაქტობრივ მფლობელთათვის გადაცემასთან დაკავშირებით განხორციელებული/განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ;

- თბილისის მასშტაბით პირველადი ჯანდაცვის მომსახურეობის ობიექტების ამოქმედების მიმართულებით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ

10. 12.10.17 - სხდომის დღის წესრიგი:

- მოქალაქე იაგო ვარდიაშვილის 26.09.17 #10268 განცხადების განხილვა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისია

2017 წლის 1-ლი იანვრიდან 28 აპრილამდე (ჯ. ჯიშკარიანის კომისიის წევრად ყოფნის პერიოდში) ჩატარდა კომისიის 10 სხდომა. კომისიის მიერ შესწავლილი/განხილული 35 საკითხი.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია

სულ ჩატარდა 14 სხდომა, განხილულია 19 საკითხი.

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი -„ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ„ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 დეკემბრის N32-127 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (N 04/18754, 04.11.2016).
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა (N 04/19055, 15.11.2016).
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის განხილვა (წერილი №04/20047, 09.12.2016.).
4. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი -„ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ„ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 დეკემბრის N32-127 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ(№04/20594, 21.12.2016).
5. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების-ხელოვნების სკოლებისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ქ. თბილისი მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის (ს/ნ.:204526352) სასწავლო-

N	სხდომის ჩატარების თარიღი	სხდომის მასალა N (ნომერი)	სხდომის ოქმი
14	8-Nov-16	N 04/18754	N14
15	18-Nov-16	N 04/19055	N15
16	15-Dec-16	N 04/20047	N16
17	23-Dec-16	N 04/20594	N17

შემოქმედებით პროცესში მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეების რაოდენობის შესაბამისად (წარმატებული მოსწავლეებისა და მათი მასწავლებლების წახალისების მიზნით) დაფინანსების პროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ".

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 22 ივლისის N18-50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (N04/2262,17.02.2017)2.„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის N30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" (04/2339, 21.02.2017).
7. „ქალაქ თბილისის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 23 სექტემბრის N9-19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (N04/3093,13.03.2017) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა; 2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის მოსმენა (04/2656, 28.02.2017); 3. „როდესაც სპორტი ცვლის სამყაროს" - პროექტის პრეზენტაცია; 4.მიმდინარე საკითხები.
8. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენა (საანგარიშო პერიოდი, 2017 წლის, I-ლი კვარტალი), 2. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 23-ე მუხლის შესაბამისად-ქ.თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის განსაზღვრა.
9. .ა(ა)იპ გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური ცენტრის, მუხიანის სარაგბო კომპლექსის დათვალიერება.
10. ქალთა საფეხბურთო გუნდ "თბილისის თბილის"-თან შეხვედრა.
11. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის N30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" .

N	სხდომის ჩატარების თარიღი	სხდომის მასალა N (ნომერი)	სხდომის ოქმი
14	8-Nov-16	N 04/18754	N14
15	18-Nov-16	N 04/19055	N15
16	15-Dec-16	N 04/20047	N16
17	23-Dec-16	N 04/20594	N17

12. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის N30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის .
13. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენა (საანგარიშო პერიოდი, 2017 წლის, III-ლი კვარტალი).
14. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის, პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების განმხილველი კომისიის ანგარიშის მოსმენა.

მთაწმინდის რაიონის მოსახლეობასთან შეხვედრები და მათთან ურთიერთობა :

2016 წლის ნოემბრიდან დღემდე, მხოლოდ ჩემ სამაჟორიტარო ბიუროში შევხვდი 800 ადამიანზე მეტს,შეხვედრები იმართებოდა როგორც სამაჟორიტარო ბიუროში, ასევე მოქალაქეებთან, კონკრეტულ მისამართებზე, პრობლემატური საკითხების საჭიროებიდან გამომდინარე. შესაბამის უწყებებთან წერილობით , შუამდგომლობა გავუწიეთ 311 მოქალაქეს. 110 დადებითი პასუხია, 31 უარყოფითი, კონკრეტულ უწყებებში, დანარჩენი საკითხები კი სირთულიდან გამომდინარე დამუშავების პროცესშია.

სოციალური მიმართულებით გაწეულმა ხარჯებმა ჯამურად 2 654 672 ლარი შეადგინა. უფრო კონკრეტულად :

1. სამედიცინო კვლევები და ოპერაციები დაუფინანსდა 1297 მოქალაქეს. თანხა - 497 622 ლარი.
2. მედიკამენტები დაუფინანსდა 5589 მოქალაქეს .თანხა - 971 401 ლარი.
3. ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწია 1835 შეჭირვებულ მოქალაქეს. თანხა - 327 102.
4. ბინის ქირის პროგრამით სარგებლობს 166 ადამიანი. თანხა- 498 180 ლარი.
5. უფასო სასადილოების პროგრამით სარგებლობს 2961 ბენეფიციარი.თანხა - 91 912 ლარი.
6. სააღდგომო ნობათი მიიღო 3039-მა მოქალაქემ. თანხა - 68 455 ლარი.

ზამთრისთვის 170 ოჯახს გადაეცა შეშა.
საზაფხულო ბანაკში დაისვენა 200 მოზარდმა.

მთაწმინდის რაიონში ჩატარებული ინფრასტრუქტურული სამუშაოები:

ღონისძიებების აღწერა:გზების მოვლა-შეკეთება .

11957 მ2 ასფალტის საფარის ორმოული შეკეთების სამუშაოები ჩატარდა შემდეგ მისამართებზე: ოქროყანაში, თბილისის ქუჩის ჩიხები და-ძმა კაკაბაძეების ქ. N7-ს ეზო, ტ. შევჩენკოს, მ. უკლებას, დ. სარაჯიშვილის, ბ. კრავეიშვილის, ვ. კოტეტიშვილის, დ. ყიფიანის, ბესიკის, ძმ. კაკაბაძეების, კ. მესხის, ლ. მესხიშვილის, პ. ინგოროყვას და მ. ბროსეს ქუჩები. 22302 მ2 გზის საფარის სარეაბილიტაციო (კაპიტალური) სამუშაოები ჩატარდა შემდეგ მისამართებზე:კიკეთში, 26 მაისის I ჩიხი, კოჯორში - ამაღლების ქუჩა, რობაქიძის ქუჩა და I ჩიხი, სკოლის ქუჩა და ჩიხი; კიკეთში - 300 არაგველის ქუჩა და II ჩიხი, ლეო ქიაჩელის ქუჩა და შინდისში - მ. ჯავახიშვილის პირველი ჩიხი და მიმდებარედ არსებული უსახელო ქუჩა.ნიაღვრის ქუჩაზე ჩატარდა 1048,0 მ2 ქვაფენილის საფარის მოწყობის სამუშაოები, ხოლო ალ. ჭავჭავაძის, კერესელიძის, წავკისის, ყიფიანის, რიწის, ვ. ბარნოვის, მ. ზანდუკელის, გ. ლეონიძის, მ. ლაღიძის, მთაწმინდის, ვეძინის, შენგელიას და ლიხის ქუჩებზე შეკეთდა 672 მ2 ქვაფენილის საფარი.

ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება

ვ. ანჯაფარიძის ქ. 16-ში არსებული შენობის და გ. ქიქოძის ქ. N13-ში რკინაბეტონის საჰაეროს კაპიტალური შეკეთების, კოჯორში - გ. ტაბიძის ქ. I ჩიხი2-ში პანდუსის მოწყობის და ტაბახმელაში, თბილისი-კოჯრის გზატკ. N25-ში კიბის და პანდუსის კაპიტალური შეკეთება; მაჩაბლის ქ. 18-ში ხანძრისაგან დაზიანებული სახლის კაპიტალური შეკეთების სამუშაოები; ნ.ნიკოლაძის ქ. N2-ში მდებარე ავარიული სახლის კაპიტალური შეკეთების წინმსწრებ-დამზღვევი სამუშაოები; ტაბახმელაში, ლაშა-გიორგის III ჩიხში სანიაღვრე ქსელის კაპიტალური შეკეთების სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა; კოსტავას II შესახვევში, მელიქიშვილის ქ.#49ა, პეტრიაშვილის ქ. N7, ტაბახმელა -გუმბათების წყაროს მიმდებარედ სპორტული მოედნების მიმდინარე შეკეთება; მთაწმინდის რაიონის ტერიტორიაზე დაზიანებული შენობა-ნაგებობების ნანგრევებისაგან ტერიტორიის გაწმენდის, სამშენებლო ნაგვისა და გრუნტის გატანის სამუშაოები; მთაწმინდის რაიონის ტერიტორიაზე დაზიანებული ხეების მოჭრის, ფორმირების, კუნძების

ამოძირკვის მომსახურება; მთაწმინდის რაიონის ტერიტორიის ფარგლებში მდებარე ნარიყალა-მთაწმინდის ტურისტული ბილიკის მოვლის და მიმდინარე შეკეთების სამუშაოები; მთაწმინდის რაიონის ტერიტორიაზე ქვეითად მოსიარულეთა ზონების მიმდინარე შეკეთების სამუშაოები; დაზიანებული მოაჯირებისა და ბარიერის ბოძების მიმდინარე შეკეთების სამუშაოები; ვ. ბერიძის ქ.N2-ში, ძმები კაკაბაძეების ქ. №22-ში, ვ.პეტრიაშვილის ჩიხი №5ა-ში და რიწის ქ. №12-ში გრუნტის დამჭერი კედლების და გ.რჩეულიშვილის №32ბ-ში რკინაბეტონის კედელის კაპიტალური შეკეთების სამუშაოები; ქ. თბილისში, ბელინსკის ქ. N61-ში, პ.იაშვილის ქ. N15-ში, ი. თარხნიშვილის I ჩიხი N7-ში, შ. ნიშნიანიძის ქ. N 12-ში, კიკეთში - დიდებისა და თაყაიშვილის ქუჩის გადაკვეთაზე, ტაბახმელაში - მე-11 და მე-18 კორპუსების მიმდებარედ ბაღების მოწყობის და არსებული ბაღების აღდგენა-შეკეთების სამუშაოები; კ. მესხის ქ. 14-ში ხანძრისაგან დაზიანებული საცხოვრებელი სახლის კაპიტალური შეკეთების სამუშაოები; გ. ქიქოძის ქ.N6-ში ხანძრისაგან დაზიანებული საცხოვრებელი სახლის კაპიტალური შეკეთების სამუშაოები; 8 მარტის ქ. N6-ში კიბის კაპიტალური შეკეთების და საყრდენი კედლის მოწყობის, ვ.აბაშიძის ქუჩა N8-ში აგურის ღობის, გოგებაშვილის I გასასვლელში რკინაბეტონის კედლის, კიბის და მოაჯირის, რ.თაბუკაშვილის ქ. N40-ში ღობის, უკლებას ქ. N3-ში კიბის და რკინაბეტონის კედლის კაპიტალური შეკეთების, ბორბალოს ქუჩაზე კიბის მიმდინარე შეკეთების და ი.გოგებაშვილის მე-3 შეს. I ჩიხი N13-ში გრუნტის დამჭერიკედლის მოწყობის სამუშაოები; ათონელის ქ.N27-ში მდებარე შენობის სტიქიისაგან დაზიანებული სახურავის კაპიტალური შეკეთების სამუშაოები; გუნიას ქ. N10-ში გრუნტის დამჭერი რკინაბეტონის კედლისა და ლითონის ღობის, გუნიას ქ. N13-ში გრუნტის დამჭერი რკინაბეტონის კედლის და ლითონის მოაჯირის, ძმ. კაკაბაძეების ქ.N23-ში გრუნტის დამჭერი რკინაბეტონის კედლის, კერესელიძის ქ.N7-ში კედლის, შინდისში, ნ.ბარათაშვილის ქ.N9-ში გრუნტის დამჭერი რკინაბეტონის კედლისა და ღობის და წავკისში, თავისუფლების ქ.N19-ში გრუნტის დამჭერი რკინაბეტონის კედლისა და ღობის კაპიტალური შეკეთების სამუშაოები; შ. დადიანის ქუჩაზე კენტი ნომრების წინ ტროტუარის კაპიტალური კეთილმოწყობის სამუშაოები;წავკისში, სტადიონის მოწყობის სამუშაოები; პ.კაკაბაძის ქუჩაზე ტვერელის სახელობის ეკლესიის მიმდებარედ მოსასვენებლი ზონის მოწყობის სამუშაოები;მამა დავითის ტაძართან მისასვლელ საფეხმავლო ბილიკზე არსებული მოაჯირების მიმდინარე შეკეთების სამუშაოები.სკვერები შეკეთდა შემდეგ მისამართებზე: ი. გოგებაშვილის ქ. N39 და N43, ჭონქაძის ქუჩა (ვილნიუსის სკვერი), სანაპიროს ქ. N8, მთაწმინდის ქუჩა (სულხან-საბას სკვერი), ტაბახმელა, მე-2, მე-5, მე-6, მე-8, მე-10, მე-12, მე-17 და მე-19 კორპუსების მიმდებარედ, შინდისში, ჭავჭავაძისა და ბარათაშვილის ქუჩაზე,

თბილისში, სულხან საბას ქუჩაზე, გ, რჩეულიშვილის მე-4 კორპუსთან, წავკისში, რუსთაველის ქუჩაზე, კოჯორში, აზეულას და იუნკერების ქუჩაზე, კიკეთში, დიდების ქუჩაზე. ასევე დაფინანსდა ეკლესიების სარემონტო სამუშაოები.

ეზოს საერთო სარგებლობის ჭიშკრის აღდგენა ან/და სადარბაზოს კარების დამზადება და მონტაჟიმოხდა შემდეგ მისამართებზე:

თ. ჭოველიძის ქ. N21 სად N2, N3, თ. ჭოველიძის ქ. N21(ჭიშკარი),სანაპიროს ქ. N2, გ.ნიშნიანიძის ქ. N11/4, მ. ზანდუკელის ქ. N4/3, ტაბახმელა, კორპ. N8 და N10,ჭონქაძის ქ. N10/2

საერთო სარგებლობის კიბეების აღდგენა: ფურცელაძის ქ. N14, მ. კოსტავას II გასასვლელი N8, თ. ჭოველიძის ქ. N21, მ. კოსტავას II გასასვლელი N8, ვაშლოვანის ქ. N5, გ. რჩეულიშვილის ქ. კორპ. N7, ზანდუკელის ქ. N4/3.

შენობის ან/და მისი შემადგენელი ელემენტების კაპიტალური გამაგრება განხორციელდა შემდეგ მისამართებზე: ალ. ჭავჭავაძის მე-2 ჩიხი N5/19, მიხაი ზიჩის ქ. N 6, პ. მელიქიშვილის გამზ. N6-6ა, დ. ბაქრაძის ქ. N 22, ვ. აბაშიძის ქ. N8, ლ. შარაშიძის ქ. N 6, კ. მესხის შეს N8, ა. შანიძის ქ. N11, თუმანიშვილის ქ. N4, დ. ჭონქაძის ქ. N 10/2, ჩიტაძის ქ. N9/კრავეიშვილის ქ. N4ა (ყოფ. ნიაღვრის ქ. N4ბ), ბ. ბელინსკის ქ. N 61, გრ. ორბელიანის ქ. N 38, ივ. კერესელიძის ქ. N1, ამაღლების ქ. N 36-34/2, რ. თაბუკაშვილის ქ. N42, ბესიკის ქ. N19/ყიფიანის ქ.N10, აკ. შანიძის ქ. N1, დ. ყიფიანის ქ. N21 ა, ალ. ჭავჭავაძისქ. N21, ვ. აბაშიძის ქ. N4-6, დ. ბაქრაძის ქ. N10, ვ. სარაჯიშვილის მე-2 ჩიხი სახლი N1, ალ. ჭავჭავაძის ქ. N21.

საერთო სარგებლობის აივნების აღდგენა განხორციელდა შემდეგ მისამართებზე: თ. ჭოველიძის ქ. N21, ძმ. კაკაბაძეების ქ. N 20, მ. ზანდუკელის ქ. N4/3, დ. ბაქრაძის ქ. N12.შშმ პირთათვის სპეციალური ლიფტი დამონტაჟდათ. ჭოველიძის ქ. N53-სა და ტაბახმელაში, კორპ N16 სახლი N69-ში.

ჩატარდა შემდეგიკულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები:

ორდღიანი ფრენბურთის ტურნირის ორგანიზება 14-18 წლის მოზარდებისთვის, მთაწმინდის რაიონის მოსახლეობისთვის სპორტულ-გასართობი ღონისძიების ორგანიზება, მთაწმინდის რაიონის ტერიტორიაზე ქუჩის კალათბურთის ტურნირის ორგანიზება სახელწოდებით „მთაწმინდის თასი", მთაწმინდის რაიონის ტერიტორიაზე მაცხოვრებელი მოზარდებისათვის სპორტულ-ინტელექტუალურ-შემეცნებითი თამაში, მთაწმინდის რაიონის მოსახლეობისთვის ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებული კულტურულ-გასართობი ღონისძიება, ხელოვნების ფესტივალი, ჭიდაობის ტურნირი.

შეგახსენებთ, რომ საანგარიშო პერიოდი მოიცავს 2016 წლის 11-12 თვეებსა და 2017 წლის 1-10 თვეებს.

პატივისცემით

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს მაჟორიტარი წევრი

ჯაბა ჯიშკარიანი